საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის
საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

15.05.2024
N 774

774-09-02-11-3-202405151508

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის

თავმჯდომარეს ქალბატონ მარინე გვიანიძეს

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტმა 2024 წლის 15 მაისის კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 134-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადაში, მოისმინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში“.

საკითხის მოსმენის შემდგომ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტმა ცნობად მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში“.

პატივისცემით,

ცოტნე ანანიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

15.05.2024
N 781

781-09-02-11-3-202405151535

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ მარინე გვიანიძეს

დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტმა 2024 წლის 15 მაისის სხდომაზე მოისმინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში, რომლის თანახმადაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 140 548,5 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 143 910,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 102,4 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2024 წლის სამ თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 24 346,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 17 729,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 72,8 პროცენტია.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების შესაბამისი პროგრამები ძირითადად შესრულებულია. ზოგიერთ ქვეპროგრამაში თანხის აუთვისებლობა გამოწვეულია სატენდერო პროცედურებისა და საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში დარჩენილი ეკონომიით; კომუნალური ხარჯების აუთვისებლობითა და საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციიდან მიღებული ეკონომიებით; კვებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის, მომსახურებისა და

შენახვის ხარჯების აუთვისებლობით; ოფისის მუხლში შექმნილი ეკონომიით. აღნიშნული თანხების ათვისება განხორციელდება შემდეგ კვარტალში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის მიმოხილვის დოკუმენტზე - უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურების გაგრძელებას.

პატივისცემით,

დავით ბაციკაძე

კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

15.05.2024
N 772

772-09-02-11-3-202405151425

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ
საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ მარინე გვიანიძეს

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების 2024 წლის 15 მაისის ერთობლივ სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 134-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.

განხილვის შედეგად, უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა ცნობად მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება.

პატივისცემით,

ილია ვერძაძე

კომიტეტის თავმჯდომარე